საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/8518
09/10/2023

8518-21-2-202310091110

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №9240 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ოზურგეთში, სანაპიროს ქუჩაზე, მდ. ბჟუჟას ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- საკვლევ უბანზე მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობი აღებული უნდა იქნეს მისი შენაკადის (მდ. აჭისწყლის) გათვალისწინებით, რაც უნდა იყოს არანაკლებ 241 კმ^2-ისა;
- მდინარის საანგარიშო ხარჯის გამოსათვლელ ფორმულაში არ არის სწორად მოცემული λ კოეფიციენტი;
- ჰიდროლოგიურ ნაწილში მდინარე ბჟუჟას ნაცვლად წერია მდინარე თეძამი, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში გაუგებარია ნაპირსამაგრის კონსტრუქციულ ნაწილში წარმოდგენილი მდინარის ზოგადი მაქსიმალური წარეცხვის დონის სიდიდე;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საპროექტო დამცავი კედლის მდგრადობის დამადასტურებელი დასკვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო